

# გარსია ალვა გერმანიის ფინანდობრივი მისამართი

## GARCIA ALVA v. GERMANY

### საქმის ფაქტობრივი მხარე

7. მომჩივანი პერუს მოქალაქეა, დაბადებული 1964 წელს, დამთავრებული აქვს ინფორმატიკის ფაკულტეტი.

8. დაუზუსტებელ დროს, ბერლინის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მომჩივანისა და სხვათა წინააღმდეგ იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ისინი მონაწილეობდნენ ნარკოტიკებით ვაჭრობაში. 1993 წლის მარტში სხვა საქმეზე მოწმის სახით დაკითხვისას, ბატონმა კ.-მ, რომელიც 1992 წელს მსჯავრდებულ იქნა ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, განაცხადა, რომ იგი აღნიშნულ საქმიანობას გერმანიაში 1991 წლიდან ეწეოდა სხვა პირებთან ერთად, რომელთა შორის მომჩივანიც დაასახელა. მან ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითი ჩვენება მისცა დაკითხვაზე, რომელიც ბერლინში მარტის ბოლოს ჩატარდა. სხვათა შორის, მან განაცხადა, რომ ერთ შემთხვევაში მომჩივანი ბერლინში თავის ბინაში ვიღაცისთვის შენახული ჰქონდა 16 კგ, ხოლო შემდეგ ოთხჯერ 1.5 კგ კოკაინი. მან ასევე აღნიშნა, რომ ორჯერ თვითონ შეიძინა კოკაინი მომჩივანისგან.

9. 1993 წლის 6 აპრილს მომჩივანის წინააღმდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება, ის ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ კანონის დარღვევაში. იმავე საღამოს ის დაკავეს.

11. 1993 წლის 7 აპრილს იგი წარუდგინეს დაკავების საქმეთა მოსამართლეს ბერლინ-თირგართენის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც მომჩივანის მოსმენის შემდეგ გასცა დაპატიმრების ორდერი.

12. 1993 წლის 8 აპრილს მომჩივანის დამცველმა მიმართა ბერლინის პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის თხოვნით. პროკურატურამ დამცველს გადასცა მომჩივანის მიერ პოლიციისთვის და დაკავების საქმეთა მოსამართლისთვის მიცემული ჩვენებების ასლები, აგრეთვე მომჩივანის ბინის ჩერეკის ოქმისა და დაპატიმრების ორდერის ასლები. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა მასალებს, დამცველის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მასალების გახმაურება საფრთხეს შეუქმნიდა მიმდინარე გამოძიებას.

13. ამის შემდგომ, მომჩივანმა თავის ახალ დამცველად დანიშნა ბატონი ციგერი, რომელმაც იგივე თხოვნით განმეორებით მიმართა პროკურატურას 1993 წლის 4 მაისს. მან ასევე მოითხოვა წინასწარი პატიმრობის კანონიერების გადახედვა. 1993 წლის 13 მაისს პროკურატურამ დაკავებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მასალები, რომლებიც იმ დროისთვის ერთი ტომისაგან შედგებოდა, გადაუგზავნა ბერლინ-თირგართენის რაიონულ სასამართლოს.

15. 1993 წლის 14 მაისს პროკურატურამ გადაუგზავნა იგივე დოკუმენტების ასლები, ხოლო, სხვა მასალებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ ვერ გაამჟღავნებდა, რადგან ეს ზიანს მიაყენებდა გამოძიების ინტერესებს.

16. 1993 წლის 27 მაისს ბერლინ-თირგართენის რაიონულმა სასამართლომ ზეპირი განხილვის შემდეგ, რომელსაც ესწრებოდნენ მომჩივანი, მისი დამცველი და პროკურორი, გასცა მომჩივანის პატიმრობის ვადის გაგრძელების ბრძანება. რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა გამოძიების შედეგები, კერძოდ ბატონი კ.-ს ჩვენებები, რომელიც ამ პერიოდისთვის კიდევ დაიკითხა, მიიჩნია, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ მომჩივანმა მართლაც ჩაიდინა დაპატიმრების ორდერში მითითებული დანაშაულები და მონაწილეობდა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულში. სასამართლომ ჩათვალა, რომ კ.-ს ჩვენებები საკმაოდ დეტალური იყო და

დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა. არც მომჩივანს და არც მის დამცველს არ მისცეს კ.-ს დაკითხვის მასალების გაცნობის უფლება.

17. 1993 წლის 14 ივნისს ბერლინის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანის საჩივარი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. საოლქო სასამართლომ, რომელსაც ხელთ ჰქონდა საგამოძიებო მასალების ასლები, მიიჩნია, რომ მის კომპეტენციაში არ შედიოდა საქმის მასალებთან გაცნობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე მსჯელობა, თუმცა დაადასტურა, რომ არსებობდა დანაშაულებრივი შეთქმულების საშიშროება.

18. 1993 წლის 15 ივნისს ბერლინის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანის შემდგომი საჩივარი 1993 წლის 14 ივნისს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ კ.-ს ჩვენებების შესახებ მომჩივანისთვის მიცემული ზეპირი განმარტება საკარისი იყო მიმისთვის, რათა ეფექტურად დაეცვა თავი. იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანმა მიუთითა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ლამის საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები განსხვავებული იყო, რადგან მას ყველა მასალის გაცნობაზე კი არ ეთქვა უარი, არამედ მხოლოდ იმ მასალებზე, რომელთა არგაზმაურების მოთხოვნა განპირობებული იყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ონტერესებით.

19. 1993 წლის 9 აგვისტოს მომჩივანმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. დამცველმა მოითხოვა, რომ კ.-ს ჩვენების მამხილებელი ნაწილები პროკურატურას ზეპირად ან სხვაგვარად უნდა გაეცნო მომჩივანისთვის. 1993 წლის 12 აგვისტოს შეტყობინების თანახმად, პროკურატურა მზად არ იყო ყველა მასალის გასაცემად, რადგან კ.-ს დაკითხვის მასალები შეიცვდა ინფორმაციას სხვა ეჭვმიტანილ პირებზე და სხვა წინასწარ გამოძიებაში არსებულ საქმეებზე, რომლებშიც დაპატიმრების ან ჩხრეკის ორდერები ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული.

20. 1993 წლის 13 აგვისტოს მომჩივანის დამცველმა მოიპოვა კ.-ს დაკითხვის მასალების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მომჩივანს ეხებოდა. სხვა ნაწილები კვლავ საიდუმლო დარჩა.

21. 1993 წლის 23 აგვისტოს დამცველმა კვლავ მოითხოვა საქმეში არსებული ყველა მასალის გაცნობა, რადგან მის ხელთ არსებული ამონაკრები გაუგებარი იყო საიდუმლო ნაწილების ამოჭრის გამო. გარდა ამისა, მან მოითხოვა საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარება. დამცველს საქმის ყველა მასალის გაცნობის შესახებ მოთხოვნაზე უარი 1993 წლის 25 აგვისტოს ეთქვა. დამატებითი გამოძიების ჩატარების მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

22. 1993 წლის 13 სექტემბერს პროკურატურამ დამცველს აცნობა, რომ აღარ არსებობდა ყველა მასალის გაცნობაზე უარის თქმის საფუძველი. იგივე შეტყობინება გაევზავნა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ ფაქტის შემდეგ, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მომჩივანს მიმართა შეკითხვით, სურდა თუ არა მას საქმის წარმოების გაგრძელება საკონსტიტუციო სასამართლოში. მომჩივანმა დადგითი პასუხი გასცა. მის დამცველს საქმის მასალების გაცნობის უფლება მიეცა 1993 წლის 17 სექტემბერს.

23. 1993 წლის 27 ოქტომბერს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

24. 1994 წლის 12 ივლისს მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა ნარკოტიკულ საშუალებებით ვაჭრობაში თანამონაწილეობისათვის, 16 კგ და 6 კგ კოკაინის შენახვისთვის და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო სასჯელის ვადაში ჩაითვალა.

## II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

25. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე და მისი მომდევნო მუხლები ეხება დანაშაულის ჩადენაში საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე პირის დაკავებასა და დაპატიმრებას. 112-ე

მუხლის მიხედვით, პირი შეიძლება დაკავონ, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და დაპატიმრონ, თუ არსებობს ისეთი საფუძველი, როგორიცაა: მიმალვის ან დანაშაულებრივი შეთქმულების საშიშროება.

26. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად, დაპატიმრებულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი დაპატიმრების ორდერის კანონიერების განხილვა სასამართლოს მიერ. ზეპირი განხილვა შეიძლება ჩატარდეს როგორც დაპატიმრებული პირის მოთხოვით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც (118-ე მუხლის პირველი პუნქტი). თუ ზეპირი განხილვის შედეგად დადგინდება, რომ დაპატიმრების ორდერი კანონიერია, პატიმრობაში მყოფ პირს ზეპირი განხილვის ხელმეორედ მოთხოვნა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პერიოდი მთლიანობაში სამ თვეს შეადგენს ან, თუ ბოლო ზეპირი განხილვიდან ორი თვე გავიდა (118-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

27. 147-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამცველს აქვს იმ მასალების გაცნობის უფლება, რომლებიც წარდგენილი იყო სასამართლოსთვის ან, რომლებიც წარდგენილი უნდა ყოფილიყო ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში. ამავე პუნქტის თანახმად, დამცველს აქვს ნივთმტკიცების შემოწმების უფლებაც. მეორე პუნქტით დასაშვებია მასალებისა ან ნივთმტკიცების გაცნობის უფლებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ურის თქმა წინასწარი გამოძიების დასრულებამდე, თუ მათი გაცნობა საფრთხის ქვეშ დააყენებს გამოძიების ინტერესებს. წინასწარი გამოძიების დასრულებამდე, მასალების გაცნობის უფლების მინიჭების საკითხს წყვეტს პროკურატურა. წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ, ამ საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარე (147-ე მუხლის მე-5 პუნქტი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ნოემბერს, ეს დებულება შეიცვალა ახლით, რომლის თანახმად დაკავებულ პირს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს პროკურატურის უარი საქმის მასალების გაცნობაზე.

30. გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის პუნქტის თანახმად, პროცესის მონაწილე ყველა პირს აქვს უფლება, მისი საქმე განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, ეს წესი მოითხოვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დაფუძნებული იყოს მხოლოდ იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელთა შესახებ აზრის გამოთქმის უფლებაც ჰქონდათ მხარეებს. დაპატიმრებისა ან დაკავების შემთხვევაში, დაპატიმრების ორდერი და მისი მხარდამჭერი ყველა სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებულისთვის წინასწარ იყო ცნობილი და, რომლის შესახებაც მას მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება.

### საქმის წარმოება კომისიაში

32. 1997 წლის 10 აპრილს კომისიამ მომჩივანის საჩივარი მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით მისაღებად მიიჩნია. 1998 წლის 17 სექტემბრის მოხსენებაში კომისიამ 27 ხმით 5-ის წინააღმდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

### სამართლებრივი მხარე

I. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საგარაუდო დარღვევა

35. მომჩივანის საჩივარი ეხებოდა მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერების თაობაზე საქმის წარმოებას. მან მიუთითა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად:

"..."

**36.** მომჩივანის განცხადებით, მის წინააღმდეგ განხორციელებული სამართალწარმოება ეწინააღმდეგებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს. მან აღნიშნა, რომ დაპატიმრების ორდერში ძირითადად მითითებული იყო სხვა ეჭვმიტანილის კერძოდ, ბატონი კ.-ს ჩვენებები, როგორც მის წინააღმდეგ ეჭვის არსებობის საფუძველი. მომჩივანის აზრით, საბრალდებო დასკვნა და დამცველისთვის მიწოდებული საქმის მასალები არ იყო საკმარისი მის მიერ დაცვის უფლების განსახორციელებლად. საქმის ყველა მასალისა და ბატონი კ.-ს ჩვენებების სრული ტექსტის გაცნობის გარეშე მის დამცველს არ შეეძლო ბატონი კ.-ს სანდოობის ეჭველებული დაცვისა და შესაბამისად მომჩივანის დაცვა ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებისაგან.

**37.** მთავრობის განცხადებით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის და მისი დამცველის ზოგად უფლებას მის მიმართ მიმდინარე გამოძიების მასალების გაცნობისას. მთავარია იმის უზრუნველყოფა, რომ შესაბამის პირს ჰქონდა მის უფლებათა ეფექტური დაცვის საშუალება, რისი განხორციელებაც სხვადასხვა გზით შეიძლებოდა.

მოცემულ შემთხვევაში მომჩივანსაც და მის დამცველსაც დაკითხვის პერიოდში წარმოდგენილი მასალებითა და დაპატიმრების ორდერით სრულად ეცნობათ წაყენებული ბრალისა და დანაშაულის ჩადენის დროისა და აღილის შესახებ იმ ფარგლებში, რაც იმ ეტაპისთვის ცნობილი იყო. გარდა ამისა, დაკითხვის პერიოდში წარმოდგენილი მასალებით მათ ეცნობათ კ.-ს 1993 წლის 17 და 30 მარტის ჩვენებების ის ძირითადი პუნქტები, რომლებიც ამხელდა მომჩივანს და წარმოადგენდა 1993 წლის 7 აპრილის დაპატიმრების ორდერის გაცემის საფუძველს. გარდა ამისა, დაპატიმრების ორდერის ასლი და მომჩივანის ჩვენებების ასლები მომჩივანის პირველ დამცველს 1993 წლის აპრილში გადაეცა (იხ. პუნქტი 13 ზემოთ). **ამასთან, ბრალდებულის ნაკლებად როული ხასიათიდან გამომდინარე, საქმარისი იქნებოდა ფაქტებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების დაცვის მხარისათვის ზეპირი გაცნობა.**

საგამოძიებო მასალების გაცნობაზე უარის თქმა განპირობებული იყო იმით, რომ მომჩივანის მიმართ მიმდინარე გამოძიება წარმოადგენდა კოლუმბის მაფიის წრეების მიმართ წარმოებული გამოძიების ნაწილს. კერძოდ, ამ საქმის მსგავს საქმეებზე, როდესაც არსებობს მტკიცებულების განადგურების საშიშროება, აუცილებელია არსებობდეს ბრალდებულისთვის ან მისი დამცველისთვის საგამოძიებო მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესაძლებლობა, რათა მათ ზეგავლენა არ მოახდინონ სხვა მოწმეებზე. მომჩივანის საგამოძიებო მასალები შეიცავდა ინფორმაციას როგორც მის მიმართ დაგეგმილ საგამოძიებო მოქმედებებზე, ასევე სხვა ბრალდებულთა მიმართ ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებზეც.

**38.** კომისიამ ძირითადად გაიზიარა მომჩივანის მოსაზრება. მან აღნიშნა, რომ კ.-ს ჩვენებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მომჩივანს ან მის დამცველს უნდა მისცემოდათ მათი სრულად გაცნობის შესაძლებლობა, რათა შეძლებოდათ მათი სათანადოდ გასაჩივრება.

#### **B. საქმის გარემოებათა შეფასება სასამართლოს მიერ**

**39.** სასამართლო მიუთითებს, რომ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებს უფლება აქვთ, განხილულ იქნეს ის პროცედურული თუ არსებითი საკითხები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი თავისუფლების აღკვეთის “კანონიერებისთვის”, ამ სიტყვის კონვენციისეული გაგებით. ეს ნიშნავს იმას, რომ შიდა სასამართლო უნდა გამოარკვიოს “არა მარტო შიდა სამართლით გათვალისწინებული საპროცესო წესების დაცვის საკითხი, არამედ იმ ეჭვის საფუძვლიანობაც, რომლის საფუძველზეც მოხდა პირის დაკავება და პრის დაკავების და შემდგომ დაპატიმრების მიზნის კანონიერება”.

დაკავების კანონიერების საკითხის განმხილველმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული გარანტიები. სამართალწარმოება უნდა ეფუძნებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპს და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს პროცესის მონაწილე მხარეთა – პროკურორისა და დაკავებული პირის "ძალთა თანასწორობას". ძალთა თანასწორობა არ არსებობს, თუ დამცველს უარს ეუბნებიან იმ საგამოძიებო მასალების გაცნობაზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კლიენტის დაკავების კანონიერების ეფექტური გასაჩივრებისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც პირის დაკავება ხვდება მე-5 მუხლის პუნქტის მოქმედების ფარგლებში, სასამართლო სხდომის ჩატარება აუცილებელია (იხ., სხვათა შორის, 1989 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Lamy v. Belgium, Series A no. 151*, გვ. 16-17, § 29 და გადაწყვეტილება საქმეზე *Nikolova v. Bulgaria [GC], no. 31195/96, § 58, ECHR 1999-II*).

ეს მოთხოვნები გამომდინარეობს პირის უფლებიდან შეჯიბრებითობის პრინციპზე, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლით და, სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში, ნიშანავს, რომ ბრალდების მხარემაც და დაცვის მხარემაც უნდა იცოდეს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების შესახებ და უნდა შეეძლოთ მათზე თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-6 მუხლის ტექსტიდან – კერძოდ კი „სისხლის სამართლის ბრალდების“ ავტონომიური ცნებიდან – გამომდინარეობს, რომ ეს დებულება გარკვეულწილად ეხება წინასწარი გამოძიების ეტაპსაც (იხ. 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Imbrioscia v. Switzerland, Series A no. 275*, გვ. 13, § 36). ამიტომ, თავისუფლების აღკვეთის დრამატული გავლენის გათვალისწინებით პირის ფუნდამენტალურ უფლებაზე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიმდინარე წარმოება, რამდენადაც ეს შესაძლებელია მიმდინარე გამოძიების პირობებში, უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი პროცესის ძირითად მოთხოვნილებებს, როგორიცაა, მაგალითად, შეჯიბრებითობის პრინციპი. შიდა კანონმდებლობა ამ გარანტიების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა მეთოდს შეიძლება ითვალისწინებდეს, თუმცა შერჩეული მეთოდის მიუხედავად, იგი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მეორე მხარემ იცოდეს პირველის წარმოდგენილი მოსაზრებების შესახებ და რეალურად შეეძლოს მათზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა (იხ., *mutatis mutandis*, 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Brandstetter v. Austria, Series A no. 211*, გვ. 27, § 67).

40. მოცემულ საქმეზე მომჩივანს დაკავებისას, ზოგადად, აცნობეს მის მიმართ არსებული ეჭვის საფუძვლებისა და მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულების შესახებ, აგრეთვე მისი დაპატიმრების საფუძვლების შესახებ. დამცველის მოთხოვნით მას გადაეცა მომჩივანის მიერ პოლიციისთვის და დაკავების საქმეთა მოსამართლისთვის მიცემული ჩვენებების, მომჩივანის ბინის ჩხრეკის ოქმის და დაპატიმრების ორდერის ასლები, მაგრამ იმ ეტაპზე, პროკურატურამ არ დააკმაყოფილა დამცველის მოთხოვნა საგამოძიებო მასალების, კერძოდ ბატონი კ.-ს ჩვენებების, გაცნობასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ ამ მასალების გაცნობა საფრთხის ქვეშ დაყენებდა გამოძიების ინტერესებს. თავის მხრივ, ბერლინ-თირგართენის სასამართლო საგამოძიებო მასალების, კერძოდ უმთავრესად ბატონი კ.-ს ჩვენებებისა და მხარეთა განცხადებების განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული დანაშაულები მომჩივანმა ჩაიდინა. 1993 წლის ივნის–ივლისში ბერლინის საოლქო სასამართლომ და ბერლინის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანის მოთხოვნა. ამ სასამართლოებმაც გამოიტანეს გადაწყვეტილება აღნიშნული მასალების საფუძველზე.

41. როგორც ჩანს, საგამოძიებო მასალებმა, კერძოდ კი ბატონი კ.-ს ჩვენებებმა არსებითი როლი ითამაშა რაიონული სასამართლოს მიერ მომჩივანის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი და რაიონული სასამართლოს წევრები იცნობდნენ საგამოძიებო მასალებს, მათი კონკრეტული შინაარსი იმ ეტაპზე არ გააცნეს მომჩივანს ან მის დამცველს. აქედან გამომდინარე, მათ არ ჰქონდათ პროკურორის და

რაიონული სასამართლოს მიერ მითითებული წყაროს გასაჩივრების შესაძლებლობა, ანუ იმის შესაძლებლობა, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინათ ბატონი კ.-ს ჩვენებების სარწმუნოება და დამაჯერებლობა, რომელიც აღრე ნასამართლევი იყო და იმ დროისათვის გამოძიებაში იმყოფებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მართალია, როგორც მთავრობამ აღნიშნა, დაპატიმრების ორდერი იძლეოდა გარკვეულ ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მომჩივანზე ეჭვის მიტანას. მაგრამ ამ სახით მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურიდან მიღებული მასალების სასამართლოსეულ ინტერპრეტაციას. სასამართლოს აზრით, ბრალდებულისთვის თითქმის შეუძლებელია ასეთი მოხსენების ეჭვის ქვეშ დაყენება, თუ მას არ ეცოდინება, რა მტკიცებულებების საფუძველზე იქნა იგი შედგენილი. ამიტომ, ბრალდებულს საკმარისი შესაძლებლობა უნდა მიეცეს იმისა, რომ შეფასოს ყველა არსებული ჩვენება და მტკიცებულება, როგორიცაა; პოლიციური, თუ სხვა გამოძიების მასალები, მიუხედავად იმისა, შეუძლია თუ არა მას საკუთარი თავის დასაცავად ამ მასალების გამოყენება.

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორმა მასალების გაცნობის უფლებაზე უარი განაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და მიუთითა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა მიმდინარე გამოძიებას, რომელიც ძალის კომპლექსური იყო და ბევრ სხვა ეჭვმიტანილს ეხებოდა.

სასამართლო ადასტურებს სისხლის სამართლის საქმის ეფექტურად გამოძიების აუცილებლობას, რაც შეიძლება გულისხმობდეს გარკვეული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეჭვმიტანილთა მიერ მტკიცებულების განადგურება და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა. მაგრამ, კანონიერი მიზანი არ შეიძლება მიღწეულ იქნეს დაცვის უფლებათა მნიშვნელოვანი შეზღუდვით. ამიტომ, ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დაკავების კანონიერების შეფასებისთვის, სათანადო წესით უნდა მიეწოდოს ეჭვმიტანილის აღვოკატს.

43. ამ გარემოებებში, ბერლინის სასამართლოებისთვის საგამოძიებო მასალების მნიშვნელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი ბატონი კ.-ს ჩვენებებისა, რომლებიც მომჩივანმა ვერ გაასაჩივრა მათი ხელთ არ ქონის გამო, გამომდინარეობს, რომ მომჩივანის დაკავების კანონიერების განმხილველ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამიტომ, დარღვეულია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

### აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი;
2. აცხადებს, რომ დარღვევის აღიარების ფაქტი თავისთავად წარმოადგენს მომჩივანისთვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას;

3. აცხადებს, რომ:

- (a) მოპასუხე სახელმწიფო მომჩივანს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 2000 (ორი ათასი) გერმანული მარკა მის მიერ გაწეული დანახარჯებისთვის, აგრეთვე აანაზღაუროს ამ თანხასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების თუ სხვა ნებისმიერი გადასახადი;
- (b) სამი თვის გადაცილების შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნულ თანხას დაერიცხება წლიური 8.4. პროცენტი ანგარიშის საბოლოო გასწორებამდე;